ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი 10 ივნისი 2016 წ.

ერთი მხრივ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული , სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (**შემდგომში - „სააგენტო“**), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, **კობა სონღულაშვილის** სახით და მეორე მხრივ, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ (**შემდგომში - „ლიცენზიატი“**), წარმოდგენილი მისი **გაკოტრების მმართველის ზურაბ მეტრეველის** სახით (**შემდგომში-„მხარეები“**),

ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3^1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის N381 დადგენილებით, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი N1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1. **„ხელშეკრულება“** – წინამდებარე ხელშეკრულება და მასზე თანდართული ყველა დანართის, ფორმისა თუ სხვა დოკუმენტ(ებ)ის ერთობლიობა.

1.2. **„ბაზა“** – სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა“.

1.3. **„აბონენტი“** - „ლიცენზიატის“ მონაცემთა ბაზაში აბონენტად რეგისტრირებული ოჯახ(ებ)ი.

1.4. **„ ბენეფიციარი“ და/ან „ბენეფიციარები“** – „ბაზაში“ რეგისტრირებული აბონენტ(ებ)ი, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი სარეიტინგო ქულა საანგარიშო თვის წინა თვის 1 რიცხვის მდგომარეობით ტოლია ან არ აღემატება 70 000-ს (სამოცდაათი ათასი).

1.5. **„სუბსიდია“** - მოხმარებული ელექტროენერგიის მიხედვით, ტარიფის ზრდის შესაბამისი პერიოდისა და ტარიფის ზრდის შედეგად გამოწვეული დამატებითი თანხის (1კვტ/სთ-ზე 3.95064 თეთრის ოდენობით, დღგ-ის ჩათვლით) ოდენობა.

1.6. **„სუბსიდირება“** – საანგარიშო თვეში „აბონენტებზე“ დარიცხული ელექტროენერგიის საფასურის ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, „სააგენტოს“ მიერ „ლიზენზიანტისთვის“ სუბსიდიის გადახდა „ბენეფიციართა“ სასარგებლოდ.

1.7. **„საანგარიშო თვე“** – კალენდარული თვე, როდესაც „ლიცენზიატი“ ახორციელებს აბონეტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დარიცხვას, „ბენეფიციართა“ „სუბისდიის“ ოდენობის განსაზღვრას და სუბსიდირებისთვის საჭირო დაფინანსების მიზნით, სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდებას.

1.8. **„სამუშაო დღე“** – კალენდარული დღის (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) მონაკვეთი 09.00-დან 18.00 საათამდე (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების გარდა).

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „ლიცენზიატის“ მიერ „სააგენტოსთვის “მომსახურების გაწევა, რაც გულისხმობს „ბენეფიციარ(ებ)ისთვის“, ტარიფის ზრდის შედეგად გამოწვეული, დამატებით დარიცხული თანხის („სუბსიდიის“) ანაზღაურებას, „სააგენტოსაგან“ მიღებული დაფინანსებით.

მუხლი 3 ზოგადი დებულებები

3.1. მხარეთა შორის ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

3.2. მხარეები აღიარებენ, რომ ხელშეკრულების ფარგლებში, მართვის ავტომატური საშუალებების (შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის) გამოყენებით წარდგენილ დოკუმენტს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობითი ფორმით წარდგენილ დოკუმენტს.

3.3. „მხარეები“ კისრულობენ პასუხიმგებლობას, რომ დაიცავენ ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობას და დაამუშავებენ ამ ინფორმაციას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისთვის.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. „სააგენტო“ ვალდებულია:

ა) ყოველი საანგარიშო თვის წინა თვის 10 (ათ) რიცხვამდე, „ლიცენზიატს“ მიაწოდოს ინფორმაცია, როგორც საანგარიშო თვის წინა თვეში ასევე წინა თვეებში „სუბსიდიის“ მიმღებ ბენეფიციართა შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულების N1.1 და N1.2 დანართების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს „სუბსიდიის“ თანხის გადარიცხვა „ლიცენზიატის“ საბანკო ანგარიშზე, წინამდებარე მუხლის 4.2. პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე;

გ) დაიცვას აღნიშნული ხელშეკრულების სხვა მოთხოვნები.

4.2. „ლიცენზიატი“ ვალდებულია:

ა) წინამდებარე მუხლის 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებისას, მოახდინოს „ბენეფიციართა“ იდენტიფიცირება და 5 (ხუთი) სამუშაო დღეში, „საგენტოს“, წერილობითი ფორმით, მიაწოდოს ინფორმაცია უზუსტობების (არასწორი, დუბლირებული ან არასაყოფაცხოვრებო კატეგორიის მქონე აბონენტ(ებ)ი) შესახებ, ამასთან, უზუსტობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამის აბონენტ(ებ)ზე არ განახორციელოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სუბსიდირებისათვის საჭირო ღონისძიებები, „სააგენტოს“ წერილობით მომართვამდე;

ბ) საანგარიშო თვის მომდევნო თვეში „ბენეფიციარებისთვის“ მიწოდებულ ქვითარზე, გამიჯნოს აბონენტ(ებ)ის მხრიდან გადასახდელი და „სააგენტოს“ მხრიდან სუბსიდირებული თანხების ოდენობა;

გ) არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვისა, წერილობით, წარუდგინოს „სააგენტოს“ ინფორმაცია „ბენეფიციარებზე“ დარიცხული ელექტროენერგიის ოდენობის, „სააგენტოს“ მხრიდან ასანაზღაურებელი და „ლიცენზიატის“ მიერ დაკორექტირებული „სუბსიდიის“ თანხების შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულების N2 დანართის შესაბამისად;

დ) სააგენტოს მიერ ჩარიცხული „სუბსიდიით“ დაფაროს მხოლოდ „სააგენტოსგან“ ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული „ბენეფიციარების“ საბონენტო ბარათებზე არსებული დავალიანებები;

ე) დაიცვას აღნიშნული ხელშეკრულების სხვა მოთხოვნები.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა

5.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლიცენზიატის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენიდან („სუბსიდიის“ თანხის მოთხოვნიდან), არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, საბიუჯეტო პროცესის უწყვეტობის გათვალისწინებით.

5.3. მხარეები საანგარიშო თვის ბოლომდე, ადგენენ ურთიერთშედარების აქტს. ხელშეკრულების N3 დანართის შესაბამისად.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

6.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის „მხარეები“ პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3. ამ ხელშკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული, მათ შორის, ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე, საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. ამ შემთხვევაში, მათი შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორსმაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე;

7.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, აცნობებს სხვა მხარე(ებ)ს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორსმაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8.2. თუ ამ მუხლის „8.1." პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მხარეები წერილობით არ გამოთქვამენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, ამ ხელშეკრულების ვადა გაგრძელებულად ითვლება მომდევნო 1 (ერთი) კალენდარული წლით. ეს წესი მოქმედებს ყოველი ერთწლიანი ვადის გასვლისას.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით. მისი შეწყვეტა შესაძლებელია ასევე, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, უპირობოდ, ნებისმიერ დროს, დანარჩენ მხარეთათვის, შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით;

8.5. ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

მუხლი N9. დამატებითი პირობები

9.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

9.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან, გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

9.3. მხარეები ვალდებულნი არიან, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი, მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

9.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება, გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

9.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

9.6. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის ბათილობის/გაუქმების/ცვლილების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში, არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო შეცვლილი ან/და ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის ნაცვლად, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ., შესაძლებელია, განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

9.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს დადგენილი ვადის არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს.

9.9. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„სააგენტო“	„ლიცენზიატი“
სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N144 საიდენტიფიკაციო კოდი N202178927	სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ ქ. თელავი, ალაზნის გამზირი N93 საიდენტიფიკაციო კოდი N203866824 საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE66BG0000000330883500
კობა სონღულაშვილი დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი	ზურაბ მეტრეველი გაკოტრების მმართველი

დანართი 1.1 სააგენტოს ინფორმაცია საანგარიშო თვეში(ჩაიწეროს თვე) სუბსიდიის მიმღები აბონენტების შესახებ:

N	აბონენტის ნომერი
1	
2	

დანართი 1.2 სააგენტოს ინფორმაცია წინა პერიოდში სუბსიდიის მიმღები აბონენტების შესახებ:

N	აბონენტის ნომერი	სუბსიდიის თვე
1		
2		

დანართი N2 ლიცენზიატის ინფორმაცია საანგარიშო თვეში (ჩაიწეროს თვე) დასაფინანსებელი სუბსიდიების შესახებ

აბონენტი	სუბსიდირების თვე	სუბსიდიის თანხა (ლარი)	დაკორექტირებული სუბსიდიის თანხა	გადასახდელი სუბსიდიის თანხა
7777777	04.2016	10	0	10
5555555	04.2016	12	-5	7

დანართი N3. ურთიერთშედარების აქტი

N	საანგარიშო თვეში მოთხოვნილი თანხა	საანგარიშო თვეში გადარიცხული თანხა	ნაშთი
1			
სულ			